



## ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

## გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 254

ქალაქი ქუთაისი 27 აპრილი 2016 წელი

ქალაქ ქუთაისში, სულხან-საბას გამზირის ბოლო მონაკვეთის მიმდებარედ (სულხან-საბას გამზირის მარჯვენა მხარეს) არსებული წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიასთან შემაერთებელი უსახელო ქუჩისათვის, სულხან-საბას გამზირის VI შესახვევის სახელის მინიჭების შე ს ა ხ ე ბ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ა.ე“ ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1-ლი ივნისის N239 დადგენილებისა და გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა დადგენის, ნორმალიზების, გამოყენების, რეგისტრაციის, აღრიცხვისა და დაცვის მიზნით, გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა სფეროში მოქმედი სამთავრობო კომისიის თანხმობის საფუძველზე:

**მუხლი 1.** მიენიჭოს ქალაქ ქუთაისში, სულხან-საბას გამზირის ბოლო მონაკვეთის მიმდებარედ (სულხან-საბას გამზირის მარჯვენა მხარეს) არსებულ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიასთან შემაერთებელ უსახელო ქუჩას, სულხან-საბას გამზირის VI შესახვევის სახელი.

/სიტუაციური რუკის ქალაქის ვერსია  
განკარგულებას თან ერთვის/

**მუხლი 2.** დაევალოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერს, შოთა მურდულიას, წინამდებარე განკარგულების მიღებიდან ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ზემოაღნიშნული შესახვევის სახელდებასთან დაკავშირებით, კონკრეტული ღონისძიებების განხორციელება.

**მუხლი 3.** განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვ.კუპრაძის ქუჩა N11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

**მუხლი 4.** განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე

დავით დვალი